RMG

კომპანიის პროფილი, 2018

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

მწვანე ალტერნატივა

ისტორია

- 2005 - „მადნეულისა“ და „კვარციტის“ პრივატიზება - „სთენთონ იქვითიზ ქორფორეიშენს“ რუსული „პრომიშლენიე ინვესტორის“ შვილობილი კომპანია;
- 2007 - „პრომიშლენიე ინვეტორმა“ “მადნეულსა” და „კვარციტში“ წილები კომპანია GeoProMining-ს მიყიდა;
- 2012 - მფლობელი კვლავ რუსული კომპანია „კაპიტალ ჯგუფი“. სს “მადნეულს“ დაერქვა - RMG Copper, ხოლო შპს „კვარციტს“ RMG Gold.

რეორგანიზაციის ისტორია

- სს RMG Copper - შპს "საქართველოს სამთამადნო კომპანია", შპს ეკოგრამი, შპს გეოკონსალტინგგრუპ, შპს პრემიერ მოტორსი, შპს Mining Investments Copper, შპს ეკოლოგი
- შპს RMG Gold - სს ჯორჯიან მაინინგ კომპანი, შპს ტრანს ჯორჯიან რესურსი, შპს Mining Investments Gold

დაკავშირებული კომპანიები

- შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ - 2011 „მადნეულსათვის“ ჩამორთმეული შესწავლა–მოპოვების ლიცენზიის მფლობელი.
- მფლობელი - კვიპროსზე რეგისტრირებული Pamtilon Holdings Limited
- RMG Gold და RMG Copper მფლობელი - ჰოლანდიაში რეგისტრირებული Rich Metals Group B.V.
- ერთიდაიგივე ადამიანები - რუსი მილიარდერები დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კორჟევი და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი.

დაკავშირებული კომპანიები

- „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ფლობს შპს „არ ემ ჯი აურამაინს“და შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანს“
- ყველგან გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძეა
- „კავკასიის სამთო ჯგუფის“ მფლობელი ასევე ფლობს, შპს მაინინგ ინვესთმენთს, რომელსაც 2015 წელს შეერწყა შპს მაინინგ დეველოპმენტს - ჯორჯია.

სამეთვალყურეო საბჭო: დმიტრი ტროიცკი, კახაბერ მჭედლიშვილი, ალექსანდრ ჩერნიხი, გენერალური დირექტორი- იური პილიპენკო.

დაკავშირებული კომპანიები

- „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ GMC Investment limited-თან ერთად ფლობს (50% წილს) სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდს“
- „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი“ - გენერალური დირექტორი 2016 წლის 18 ნოემბრამდე პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კახაბერ კუჭავა იყო;

დაკავშირებული კომპანიები

- 2016, 15 ნოემბერამდე - კახაბერ კუჭავა იყო შპს „ამბრელა ენტერპრაზის“ 33% წილის მფლობელი (წილი 100 ლარად იყიდა ირაკლი კუჭავამ);
- 2011 წლიდან 2016 წლის 11 ოქტომბრამდე შპს „ამბრელა ენტერპრაზის“ შვილობილი სს „კარლტონ ჯორჯიას“ (ZOPKHITO GOLD, ამჟამად სს „კავკასიის მინერალები“) დირექტორი - 2011 ონის რაიონში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონების და ბარიტის მოპოვება–შესწავლის 30 წლიანი ლიცენზია 990 000 ლარად მოიპოვა.

„ჩვენს შესახებ“

- ინფორმაცია სტრუქტურის, დაკავშირებული კომპანიების, მფლობელების, მმართველი გუნდის, ან გენერალური დირექტორის ვინაობის შესახებ არ არის წარმოდგენილი.
- არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების შესახებ, წიაღის მარაგების შესახებ ინფორმაციაზე,
- მოპოვებული რესურსის გამამდიდრებელი საწარმოს შესახებ.

გარემოს დაცვა

- „კომპანიაში ჩამოყალიბდა ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ახალი სტრუქტურა.
- შემუშავდა ახალი გარემოსდაცვითი პოლიტიკა.
- ლაბორატორია აღიჭურვა თანამედროვე ექსპრეს ანალიზატორებით ხსნარებში მძიმე მეტალების, ციანიდებისა და სულფატის იონების შემცველობის და ატმოსფერული ჰაერის სიმღვრივის განსასაზღვრად.
- ყოველდღიურად მიმდინარეობს მონიტორინგი: წყლის ჩაშვებაზე, ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევებზე, HCN გაზის რაოდენობაზე, სანაყაროებზე, მილსადენების გამართულობაზე, კუდსაცავზე, კარიერული მჟავე წყლის აღწერა“

გარემოს დაცვა

- ვებ-გვერდზე ნაკლებად გასაგებად და ბევრი ტექნიკური ტერმინით აღწერილია, თუ როგორ ხდება კარიერული მჟავე წყლების შეგროვება და გაუვნებელყოფა.
- „კომპანიის გარემოს დაცვის დეპარტამენტი ყოველდღიურად ახორციელებს წყლის ხარისხის შემოწმებას, რომლის **ძირითადი მიზანია იმის ჩვენება, რომ წყალში არ აღინიშნება თავისუფალი ციანიდის ან ციანიდის სხვადასხვა მეტალოკომპლექსების შემცველობა**“.
- ვებ-გვერდზე მითითებულია სინჯების აღების წერტილები მდებარეობა, თუმცა არაფერია ნათქვამი ყოველდღიური შემოწმებების, თუნდაც განზოგადებული შედეგის შესახებ.

გარემოს დაცვა

ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი:

- ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, საწარმოების საქმიანობით გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და მისი შემსუბუქებისთვის დაგეგმილი და/ან მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.
- საწარმოების საქმიანობის შედეგად ადგილობრივი ბუნებრივი და სოციალური გარემოსათვის ზიანის მიყენების საფრთხეების და ამ საფრთხეების თავიდან აცილებისათვის გატარებული და/ან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

- გისენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი;
- კვლევა 2001-2011 წლებს მოიცავდა;
- ტერიტორიის ნახევარზე მეტი სერიოზულად არის დაბიძურებული მძიმე მეტალებით - სპილენძით, კადმიუმით და თუთიით;
- ზოგიერთ უბანზე ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა აღმოჩნდა.

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 ანგარიში:

- RMG Gold - ეკოლოგიური ექსპერტიზის გარეშე მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის მშენებლობა - გარემოსათვის მიყენებულმა ზიანი 29 153 880 ლარი;
- RMG Copper-ის შემასქელებელი რეზერვუარიდან 500 კუბ.მ მოცულობის მჟავე კარიერული წყლის მდ. კაზრეთულაში ჩაღვრის შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 1 078 188 ლარი შეადგინა.

უახლესი საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტი - კომპანიების გარემოზე ზემოქმდების შესახებ.

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

RMG Gold ნებართვის პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება (15.12.2015-15.03.2016) ანგარიში:

- კომპანიას არ აღმოაჩნდა მონიტორინგის გეგმა და არც სამონიტორინგო ვალდებულებებს ასრულებდა; არ აღმოაჩნდა ნარჩენების მართვის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- კომპანია არ იცავდა ქიმიური ნივთიერებების შენახვა - დასაწყობების ინსტრუქციებს;
- არ ხდებოდა გამოტუტული მადნის გროვების დასაწყობების ტერიტორიის რეკულტივაცია;

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

RMG Gold ნებართვის პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება (15.12.2015-15.03.2016) ანგარიში:

- კომპანია არ აწარმოებდა ციან-იონების კონცენტრაციის თვითმონიტორინგს;
- გამოვლინდა წიაღით სარგებლობის ფაქტი სათანადო ლიცენზიის გარეშე
- და არაერთი სხვა დარღვევა.

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

RMG Copper ნებართვის პირობებისა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება (15.12.2015-15.03.2016) ანგარიში:

- კაზრეთულასა და ფოლადაურის მიმდინარე დაბინძურების ფაქტები;
- კუდსაცავის ძირში დამონტაჟებული მილიდან გამოსულ წყალში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით მნიშვნელოვნადაა მომატებული მაგნიუმი, კალციუმი, სულფატები, ასევე ბრომი და ამონიუმი.

მინისტრის ვიზიტი 02.04.2018

2015-16 წლებში ჩვენი შემოწმების შედეგად რამდენიმე მიმართულებით იყო დარღვევები გამოვლენილი. მნიშვნელოვანია, რომ ის დარღვევები გამოსწორდეს და სწორედ ამ ღონისძიებებზე გვქონდა საუბარი. უშუალოდ ჩვენი თვალით გვინდოდა გვენახა თუ სად არის კრიტიკული წერტილები, პრობლემები და როგორ იქნება კომპანიის მიერ გამოსწორების მექანიზმები, როგორი იქნება გონივრული ვადები და ამაზე სპეციალისტებთან ერთად შევჯერდებით.”

პრობლემის მოგვარებისთვის

- Golder Associates-ის მონაწილეობით შედგენილი სამოქმედო გეგმა;
- პარლამენტის კომიტეტის სამუშაო ჯგუფი.

სოციალური პასუხისმგებლობა

- ადგილობრივი მოსახლეობის განათლების, სპორტისა თუ შშმ პირების დახმარებისათვის გაწეული ძალისხმევა შესაძლოა განვიხილოთ სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატულებად;
- კომპანიის ჩართულობა ბოლნისის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის იმ გარემოში, რომლის საგანგაშო დონემდე დაბინძურების მიზეზი თავად არის - უფრო სოციალური პასუხისმგებლობის იდეის დისკრედიტაციაა